ა-54.

34(05)
ა-54.

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1933 წლის დეკემბრის 31	№ 22-23 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

1571

შინაარსი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

მუხ. 179. 1933 წელს ბამბის ნათესის დამუშავება-გამარგვლის კამპანიის ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

180. უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

181. „ხეტყის დამზადებასა და წყლით ჩამოტივტივებაზე კოლექტიურ მეურნეობებთან და ინდივიდუალურ მეურნე-გლეხებთან ხელშეკრულებათა დადებისათვის“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

182. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის დაყენების საქმის გაუმჯობესებისა და აღრიცხვის ორგანოების გამტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

183. 1934 წელს ამიერკავკასიის რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

184. „1934 წელს ამიერკავკასიის რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების ჯულფა-ბაქოს და შავიზღვის რკინის გზებზე გავრცელების შესახებ.

185. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მუშაობის შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

179. 1933 წელს ბამბის ნათესის დამუშავება-გამარგვლის კამპანიის ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ამიერკავკასიამ 1933 წელს უნდა მისცეს ჩვენს ქვეყანას ნედლი ბამბა საგლეხო სექტორის ხაზით (სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასყიდლის გარდა) 143.330 ტონნას რაოდენობით და საბჭოთა მეურნეობების ხაზით—8.200 ტონნას რაოდენობით.

ამ გეგმის აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევენ რესპუბლიკანურ და რაიონულ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს—ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. შ ე თ ხ ე ლ ე ბ ა:

ა) მაისის 15-დან მაისის 30-დე ჩატარებულ იქნეს ბამბის აღმონაცენის პირველი შეთხელება; ამისთანავე, ცალკეულ ორმოებს შუა დატოვებულ უნდა იქნეს მანძილი: ადრეული ჯიშებისათვის—18-20 სანტიმ., ნაგვიანევი ჯიშებისათვის—20-25 სანტიმ., ეგვიპტურისათვის—23-30 სანტიმ.; თვითეულ ორმოში დატოვებულ უნდა იქნეს 4—5 მცენარე;

ბ) მაისის 30-დან ივნისის 15-დე ჩატარებულ იქნეს ბამბის ნათესის ყველა ფართობზე მეორე შეთხელება; ამასთანავე, განსაკუთრებული მეთვალყურეობა უნდა მიექცეს ეგვიპტის ბამბის ნათესის აუცილებლად ორმაგ შეთხელებას.

2. მ ა რ გ ვ ლ ა რ ი გ ე ბ შ ი:

ა) პირველი მარგვლა რიგებში დაწყებულ იქნეს აღმოცენებისთანავე და დამთავრებულ—მაისის 30-ს;

ბ) მეორე მარგვლა ჩატარებულ იქნეს მაისის 30-დან ივნისის 15-დე;

გ) მესამე მარგვლა—ივნისის 15-დან ივნისის 30-დე;

დ) მეოთხე მარგვლა—ივნისის 30-დან ივლისის 20-დე;

ე) უკეთუ ბამბის ნათესის ფართობებზე გამოჩნდება ნაგვიანევი სარეველა ბალახი, ჩატარებულ იქნეს ყველა სარეველიან ნაკვეთზე მეხუთე მარგვლა ივლისის 20 დან აგვისტოს 20-დე;

ვ) ეგვიპტური ბამბის ნათესის დამუშავება დაწყებულ და დამთავრებულ იქნეს ხუთი დღით ადრე იმ ვადაზე, რაც სხვა ჯიშებისათვის არის გათვალისწინებული.

3. კ უ ლ ტ ი ვ ა ც ი ა:

ა) ბამბის მინდვრების კულტივაციისათვის დადგენილ იქნეს იგივე ვადები, რაც განსაზღვრულია მარგვლისათვის; ამასთანავე, პირველი კულტივაცია ჩატარებულ იქნეს პირველი მარგვლისთანავე უშუალოდ; ყველა სხვა შემდგომი კულტივაცია—მარგვლამდე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ნათესი ძლიერ იქნება მოცული მხვიარე სარეველა ბალახით;

ბ) მოწყობილ იქნეს სარეველა ბალახის მოთიბვა ყვავილის გაშლამდე სარწყავი არხების გვერდებზე, გზებზე, მიჯნებზე, ხრამებში, მომიჯნავე ცარიელ ადგილებში, რადგანაც ყველა ამ ადგილიდან, სარეველა ბალახის თესლის ცვევნის დროს, სარეველა შეიძლება მოედვას ბამბის მინდვრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მ ა ვ ნ ე ბ ლ ე ბ თ ა ნ ბ რ ძ ო ლ ა:

ა) დადგენილ ვადებზე დამთავრებულ იქნეს მუშაობა კალიასთან ბრძოლისათვის;

ბ) თავის დროზე წარიგზავნოს შხამები და აპარატურა ბამბის მავნებლებთან ბრძოლის ადგილებზე;

გ) შემოწმებულ და დაკომპლექტებულ იქნეს კადრებით სამანქანო-საგანმანადგურებლო სადგურები;

დ) მოწყობილ იქნეს კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა მასსური გამოსვლა სამუშაოზე მავნებლებთან ბრძოლისათვის;

აზერბაიჯანის სსრ-ში მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა დაეკისროს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ჰუსეინ რახმანოვს.

5. მ ო რ წ ყ ვ ა:

ა) ბამბის მინდვრების მორწყვა ჩატარებულ იქნეს იმ ვადებზე და იმ ნორმებით, რაც დადგენილია აგროწესებით;

ბ) ყამირ ადგილებში, ზედაპირის გატეხის მიზნით, ჩატარებულ იქნეს საგალდებულო წესით მწკრივთაშორისი ხარვეზების გაფხვიერება თვითეული მორწყვის შემდეგ;

გ) ყველა რაიონში უზრუნველყოფილ იქნეს დღედაღამითი რწყვა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მორწყვის ჩატარების ტექნიკას (ურწყველად წყლის ზედმეტი დენისა, დაუზოგველად წყლის გამოყენებისა, დაჭაობებისა და სხვა მისთ. თავიდან აცილება);

დ) ხუთი დღის ვადაზე მიწოდებულ იქნეს რაიონებისათვის კვლური მორწყვის გეგმები და უზრუნველყოფილ იქნეს ამ მორწყვის ჩატარება გეგმით გათვალისწინებულ ყველა ნაკვეთზე;

ე) შემოწმებულ იქნეს, სავეგეტაციო მორწყვის დაწყებამდე, ჩატარებული წყალსაქანთა რემონტის თვისება და სათადარიგო ნაწილებისა, სამონტაჟო მასალისა და სათბობი მასალის ქონა თვითეულ წყალსაქანზე მთელი მორწყვის პერიოდის განმავლობაში; დაინიშნოს წყალსაქანთა თვითეულ ჯგუფში სათანადო პირები, რომელნიც პერსონალურად პასუხისმგებელ იქნებიან დაუცადებელი მუშაობისათვის;

ვ) მოწყობილ იქნეს მრწყველთა სისტემატური ინსტრუქტაჟი; გამოყოფილ იქნეს მრწყველთა მუდმივი შედგენილობა და მიმაგრებულ იქნენ ისინი მორწყვის კამპანიის ბოლომდე განსაზღვრულ ნაკვეთებზე;

ზ) მოწყობილ იქნეს სარწყავი ქსელის შემოწმება და შეკეთება თვითეული მორწყვის შემდეგ;

თ) მიმაგრებულ იქნენ, არა უგვიანეს მაისის 20-სა, ძირითად საბამბე რაიონებზე, მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში, სარწყავი სისტემის ექსპლოატაციის სპეციალისტები, წყლის სისწორით განაწილებისა და რაციო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალურად სარგებლობის ორგანიზაციისათვის მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გასაწევად;

ი) აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე მორწყვის საქმეში ყველა საჭირო ღონისძიების ჩატარებისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყოფილ იქნეს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულად ამხ. აგრბა.

6. ეგვიპტური ბამბა:

ა) მიმაგრებულ იქნენ დამუშავების კამპანიის განმავლობაში ალი-ბაირამლის რაიონზე (5.000 ჰექტარი ეგვიპტური ბამბა საგლეხო სექტორში), სალიანის რაიონზე (3.800 ჰექტარი), ქურდამირის რაიონზე (3.400 ჰექტარი), აღჯაბედის რაიონზე (2.500 ჰექტარი) საბირაბადის რაიონზე (1.200 ჰექტარი) და გოგჩის რაიონზე (1.000 ჰექტარი), აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური რწმუნებულნი ეგვიპტური ბამბის დასამუშავებლად საჭირო ღონისძიებათა ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად;

ბ) რაიონების შიგნით ეგვიპტური ბამბის ყველა მასსივზე მიმაგრებულ იქნენ ხელმძღვანელი სარაიონო მომუშავენი და აგრეთვე უფრო გამოცდილი აგრონომები;

გ) წარიგზავნოს მილისა და ყარაჭალას საბჭოთა მეურნეობებში ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჯუღელი, რომელსაც მიენდოს, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ერთად, გადასწყვიტოს ადგილობრივ პრაქტიკული საკითხები, რაც დაკავშირებულია ამ საბჭოთა მეურნეობების მუშა-ძალის მოგროვებასა, საჭირო საბინაო პირობების შექმნასა, მუშათა მომარაგების მოწყობასა და მედმომსახურეობის გაწევასთან;

დ) მაისის ბოლოს მოსმენილ იქნეს სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ბიუროში აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხ. ჯუღელის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა არის გაკეთებული, რათა აღსრულებულ იქნეს ამხ. სტალინისა და ამხ. მოლოტოვის დირექტივები ყარაჩალას და ნილის საბჭოთა მეურნეობების ბამბის ტექნიკის მხრით ნამდვილად სამაგალითო მეურნეობებად გადაქცევის შესახებ.

7. სამთაბაროდ გასვლა:

ა) ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ (ამხ. დოგადოვმა) ერთი დეკადის ვადაზე უნდა მოაწყოს შემოწმება, თუ რესპუბლიკებში რამდენად არის უზრუნველყოფილი წინასწარი ღონისძიებანი, რათა საბამბე რაიონებიდან არა ხდებოდეს ზაფხულის საძოვრებზე სამთაბაროდ მასსური გასვლა, და, რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან ერთად, ადგილობრივ გადასწყვიტოს პრაქტიკულად ბამბის მთესველთა სამედიცინო მომსახურეობისა, სასმელი წყლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაით და შაქრით მომარაგებისა და ბამბის დამუშავების მთელი პერიოდის განმავლობაში მათი ადგილებზე თვითმიმაგრების საკითხები;

ბ) აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭომ უნდა წარგზავნონ მომთაბარეობის რაიონებში არა ნაკლებ 15 მომუშავისა, ამხანაგთა მამედხანოვის, ასად ყარაევის, აბდალ უსუფოვის და მუხთარ გაჯიევის მეთაურობით, სამთაბაროდ კოლექტიურად გასვლის საქმის მოწყობისათვის მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ოთხფეხი საქონელი იალაღებზე იქნება;

გ) სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა იხმაროს ღონისძიებანი მომთაბარეთა ორგანიზებულად მიღებისათვის, რისთვისაც უნდა გამოჰყოს ამხანაგთა ჯგუფი ამხ. დაშთოიანისა და ამხ. სალმანოვის მეთაურობით.

8. სასოფლო-სამეურნეო მანქანები:

ა) წინადადება მიეცეს რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს—უზრუნველჰყონ მთლად სამარგვლე ინვენტარის (კულტივატორები, მიწის შემომყრელი და ხელით სახმარი ინვენტარი) რემონტის სასწრაფოდ დამთავრება და აგრეთვე პურეულისა და თივის ამღები მანქანების რემონტი, რაც დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ივნისის 1-სა;

ბ) ტრაქტორების რემონტის სათანადო თვისების უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს ყველა სამანქანო-სატრაქტორო სადგურს—შემოიღოს თვითეულ ტრაქტორზე სადეფექტო ნუსხა და უზრუნველჰყოს საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტის ჩატარება;

გ) ივნისის 1-დე შეზიდულ იქნეს რაიონებში: კომბაინი—30, ძნისმკვრელი—275, სალეწავი—125, ცხენიანი ფოცხი—500 ცალი;

დ) წარვლინებულ იქნეს ბაქოში სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი ამხ. ამატუნი, რომელსაც მიენდოს, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტთან და ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, მოაწყოს მუშაობა ბაქოს საწარმოთა მიერ საბამბე რაიონებისათვის დახმარების გასაწევად (ტრაქტორებისა, მოსავლისამღები მანქანებისა და წყალსაქანების სათადარიგო ნაწილების დამზადება, საკულტივატორო დანების დამზადება, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე, ცალკეულ უბნებში და წყალსაქანებზე სარემონტო ბრიგადების წარგზავნა, სარემონტო სახელოსნოებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების უზრუნველყოფა სარემონტო მასალით, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სამანქანო-სატრაქტორო სახელოსნოების კვალიფიციური მექანიკოსებით დაკომპლექტება, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიმართ ბაქოს საწარმოთა საწარმოო შეფობის გაშლა და სხვა მისთ.).

9. აგრონომიული უბნები:

ა) დამთავრებულ იქნეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების აგრონომიული უბნებისა და საბჭოთა საბამბე მეურნეობების ხუტორების შემოწმება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განმტკიცებულ იქნეს ეს უბნები და ხუტორები მეურნეობის დარგში მომუშავე გამოცდილი კომუნისტების, აგრონომების, ჰიდროტექნიკოსების და პარტიულ და პროფესიონალურ მომუშავეთა კადრებით;

ბ) მიმაგრებულ იქნეს აგროუბნებზე და საბჭოთა მეურნეობების ხუტორებზე მთელი აგროტექნიკური პერსონალი, როგორც მუდმივად მომუშავე სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე თესვის დროს მობილიზებული, მთლად დამუშავების პერიოდის განმავლობაში;

გ) ყველა ის მებამბე-აგრონომი, რომელიც არასპეციალობაში მუშაობს, წარიგზავნოს საბამბე რაიონებში.

10. შ რ ო მ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა:

ა) მოწყობილ იქნეს ყოველდღიურ საწარმოო დავალებათა მიწვდევინება თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადამდე;

ბ) განისაზღვროს თვითეული სახის სამუშაოსათვის გამომუშავების მტკიცე ნორმები და ამ გამომუშავების შეფასება შრომა დღეების მიხედვით; ეს მუშაობა ჩატარებულ უნდა იქნეს ისე, რომ თვითეულმა კოლმეურნემ იცოდეს გამომუშავების ნორმა, მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს თვისებრივი მოთხოვნანი და თავისი სამუშაოს შეფასება შრომა-დღის კვალობაზე;

გ) მოწყობილ იქნეს ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების სისტემატური აგრო-საწარმოო დახმარება მათ მიერ ბამბის ნათესის დამუშავების საქმეში ყველა ღონისძიების ჩასატარებლად, აგრეთვე ინდივიდუალური მეურნეობების მიერ მათთვის დადგენილი სავალდებულო აგროწესების აღსრულების სისტემატური შემოწმება სასოფლო საბჭოებისა და აგროორწმუნებულთა მეშვეობით;

დ) პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გაშალონ მასსური პოლიტიკური მუშაობა ქალთა შორის მინდვრად და ბრიგადებში, უზრუნველჰყონ საბავშვო ბაგებისა, საბავშვო ბაღებისა, საბავშვო ბაქნებისა და სხვა მისთ. ქსელის შექმნა და მიაღწიონ, რომ ყველა ქალი გამოვიდეს სამუშაოდ ბამბის ნათესის დამუშავებაზე; ამ მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სოფლებზე და კოლექტიურ მეურნეობებზე მიმაგრებულ უნდა იქნენ სპეციალური მომუშავენი; ამასთან ერთად ჩატარებულ უნდა იქნეს მუშაობა, რათა კოლმეურნეშამაკაცებმა მასსურად მიიღონ მონაწილეობა ბამბის ნათესის დამუშავებაში.

11. სრ ულ ი ად საკ ავ შ ირ ო კ ომ უ ნ ის ტ ურ ი პ ა რ ტ ი ის (ბ) ა მ ი ერ კ ავ კ ა ს ი ის ს ა მ ხ ა რ ე ო კ ო მ ი ტ ე ტ ი დ ა ა/კ ს ფ ს რ ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ თ ა ს ა ბ ჭ ო უ ს ა ხ ა ვ ე ნ კ ო მ კ ა ვ შ ი რ ს შ ე მ დ ე გ ა მ ო ც ა ნ ა ს:

ა) მოგვცენ საკოლმეურნეო ბრიგადის საუკეთესო მუშაობის მაგალითები;

ბ) მოაწყონ მასსური ბრძოლა სარეველასთან სარწყავ არხებზე, მიჯნებზე, გზებზე და სხვა მისთ.;

გ) შექმნან საკომკავშირო სადამზეროები სასოფლო-სამეურნეო მავნებლებთან ბრძოლისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მოსავლიანობის აღრიცხვა და სამუშაოების თვისების შემოწმება.

ა) განისაზღვროს ბამბის ნათესის აღმონაცენის საყოველთაო ინსტრუმენტალური გაზომვის საბოლოო ვადა მაისის 25-ს და, გაზომვის მიმდინარეობისა და დაუთესავი ფირთობების გამოაშკარავების მიხედვით, დაუყოვნებლივ დამატებით დაითესოს ეს ფართობები და თესვა დამთავრებულ იქნეს ამავე ვადისათვის;

ბ) დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მებამბეობის სახელმწიფო ინსტიტუტთან ერთად, ჩაატაროს მუშაობა ბამბის მოსავლიანობის პროგნოზისა და აღრიცხვისათვის მოსალოდნელი მოსავლის შესაფასებლად, შემდეგ ვადებში: ივლისის 10-ს, აგვისტოს 1-ს, სექტემბრის 1-ს, ოქტომბრას 1 ს და ნოემბრის 1-ს, რისთვისაც მოაწყოს რაიონებში საექსპერტო კომისიები სარაიონო საადგილმამულო განყოფილებისა, მებამბეობის სახელმწიფო ინსტიტუტისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურისა, მავნებლებთან ბრძოლის შენაერთისა, წყალსამეურნეო სამმართველოს და ბამბის ქარხნის წარმომადგენელთა შედგენილობით;

დაწესებულ იქნეს, რომ კომისიის თავმჯდომარედ არის მებამბეობის სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენელი, რომელსაც პერსონალურად ამტკიცებს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი; კომისიის ყველა სხვა წევრს პერსონალურად ამტკიცებენ რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები;

საბჭოთა მეურნეობაში კომისია მოეწყობა მებამბეობის სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენლისა, უფროსი აგრონომისა და ხუტორის აგრონომის შედგენილობით;

გ) ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, თავიანთი საადგილმამულო და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების სისტემის მეშვეობით, უნდა მოაწყონ მთლად დასახულ აგროლონისძიებათა მოცულობის რაოდენობითი და თვისებითი მაჩვენებლების აღსრულების სისტემატური შემოწმება და თვალყური ადევნონ, რომ შემდგომი ავანსების გაცემა სწარმოებდეს დავალებათა აღსრულების მიხედვით; წინადადება მიეცეს რესპუბლიკების კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს—დაპრემიებისათვის გამოყოფილი ამიერკავკასიის ფონდის დამატებად გამოჰყონ რესპუბლიკანური ფონდები საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საუკეთესო მუშებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეების დასაპრემიებლად სამაგალითო სადამკვრელო მუშაობისათვის ბამბის ნათესის მოვლის საქმეში.

13. სისტემატური მეთვალყურეობის გაწევა, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესაბამისად, ბამბის მთესველების პურით და სამრეწველო საქონლით მომარაგების გეგმების რესპუბლიკათა მიერ შესრულებისათვის. დაეკისროს ამხ. ჯუღელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. დამუშავება-მარგვლის კამპანიის მთელი ხნის განმავლობაში ძირითად საბამბე რაიონებზე მიმაგრებულ იქნენ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრები, ა/კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმისა და რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წევრები არა ნაკლებ მათი შედგენილობის ორი მესამედისა; დაევალოს მათ დაჰყონ რაიონებში არა ნაკლებ 10 15 დღისა თვეში.

15. დამუშავება-მარგვლის კამპანიის მთელი ხნის განმავლობაში წარგზავნილ იქნეს ყარაჰალას საბჭოთა მეურნეობაში ა/კ. სამხარეო კომიტეტის ბრიგადა შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი ლესნიჩი, გრ. ცინცაძე და მელნიკოვი და ამხ. სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში—ბრიგადა შემდეგი შედგენილობით: ამხანაგნი ვარძიელი, გუმედინი და ხოჯამიროვი.

16. ა/კ. სამხარეო კომიტეტი აღნიშნავს, როგორც უდიდეს ნაკლს თესვის კამპანიის მსვლელობაში, მთელი რიგი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას და აყენებს რესპუბლიკების პარტიული ცენტრალური კომიტეტების წინაშე, როგორც უაღრესი მნიშვნელობის მქონე სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანას—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების განმტკიცებას.

დაეკისროს ამხ. კუდრიავცევს (აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტი), ამხ. აღნიაშვილს (საქართველოს ცენტრალური კომიტეტი) და ამხ. მირზაბეკიანს (სომხეთის ცენტრალური კომიტეტი) ამოცანა—შეამოწმონ ერთი თვის ვადაზე და განამტკიცონ ცენტრალური კომიტეტების წევრთა მასშტაბის მომუშავეებით სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორთა შედგენილობა (ა/კ. სამხარეო კომიტეტის მიერ მათი პერსონალური დამტკიცებით) და ორი თვის განმავლობაში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორების თანაშემწეებისა და საწარმოო უბნების გამგეთა შედგენილობა (რესპუბლიკების ცენტრალური კომიტეტების მიერ მათი დამტკიცებით), თანაც იქონიონ სისტემატური მეთვალყურეობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კადრების მდგომარეობისათვის.

17. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების პარტიულ ცენტრალურ კომიტეტებს და სარაიონო პარტიულ ორგანიზაციებს—განაგრძონ გადუხრელად კადრების შემოწმება და განმტკიცება სოფლად (თვით საკოლმეურნეო ქვედა კადრებისაც) და ამასთანავე მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება სოფლად გასაგზავნ მომუშავეთა ბეჯითად შერჩევას. რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა ჰგზავნონ მომუშავენი განსაზღვრულ სამუშაოზე (და არა „ისე, საერთოდ") და უნდა ამზადონ წინასწარ ამ სამუშაოსათვის.

ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების წინაშე სდგას პასუხსაგები ამოცანა—მისცენ ჩვენს ქვეყანას 1933 წელს ბამბის მაღალი მოსავალი.

რათა ბოლშევიკურად შესრულებულ იქნეს ამხ. სტალინისა და ამხ. მოლოტოვის დირექტივები ბამბის მთელი საქმის ხელმძღვანელობის გაუმჯობე-

სების შესახებ, მთელი ძალღონე თავმოყრილ უნდა იქნეს ბამბის მოვლისა და სარეველასთან ბრძოლის წესიერი ორგანიზაციის გარშემო.

ა/კ. სამხარეო კომიტეტს მიაჩნია, რომ გაშლილი ბრძოლა თესვის და დამუშავების ხარისხისათვის უნდა სწარმოებდეს უფრო ორგანიზებულად და სისტემატურად (ზედმიწევნით, თავის დროზე და განსაზღვრული თანამიმდევრობით აგროღონისძიებათა ჩატარება) და არა ისე, როგორც ცალკეულ შემთხვევებშია ხოლმე, რომ ღონისძიებანი ხორციელდება განცალკევებულად და შემთხვევით (თესვის ჩამორჩენა მორწყვისაგან, დაყოვნება ხვნასა და ფარცხვას შუა და სხვა მისთ.), რაც თავდება უშედეგოდ და ხან-კი ჩატარებული ღონისძიების მიერ ზიანის მიყენებით.

დამუშავების ჩატარების პრაქტიკაში შემოღებულ იქნეს ცალკეული კოლექტიური მეურნეობებისა, ბრიგადებისა და სოფლების მიერ ურთიერთი შემოწმება; თანაც უნდა გაძლიერდეს მოწინავე კოლექტიური მეურნეობებისა და სოფლების გავლენა ჩამორჩენილებზე.

მთლად საბამბე კამპანიის გამარჯვება სწყდება მინდვრად, დადგენილ ვადებზე შეთხელებისა, მარგვლისა, კულტივაციისა და რწყვის აუცელებლად ჩატარებისათვის ბრძოლით. კულაკების ცდას—ჩაშალონ დამუშავების კამპანია—კომუნისტებმა და კომკავშირლებმა წინ უნდა დაუყენონ სამაგალითო დაკვრითი მუშაობა მინდვრად და თავიანთი შრომის ენტუზიაზმით გაიტაცონ კოლმეურნე-კაცთა და კოლმეურნე-ქალთა, ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეთა მასსები.

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნებულ არიან, რომ ამიერკავკასიის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, შემუსრავენ-რა კულაკური ელემენტების წინააღმდეგობას, კულაკურ საბოტაჟს და მავნებლობას, სათავეში ჩაუდგებიან მასსების ფართოდ გაშლილ აქტიობას და საპატიოდ შეასრულებენ დამუშავება-მარგვლის კამპანიის საბრძოლო ამოცანებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური
პარტიის (ბ) ამიერკავკასიის
სამხარეო კომიტეტის მდივანი **ლ. ბერია.**

1933 წ. მაისის 11.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 109 №-ში 1933 მაისის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა.

180. უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ.

„უძროხო კოლმეურნეებისათვის ძროხების შეძენაში დახმარების გაწევის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის ნოემბრის 5-ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს 1933 წლის განმავლობაში სახელმწიფოებრივი დახმარების გაწევა უძროხო კოლმეურნეებისათვის მათ მიერ შეღავათიანი პირობით ხბოების შეძენის საქმეში 30 ათასი სულის რაოდენობით მთლად ა/კსფსრ-ში.

2. ამ მიზნით:

ა) შეძენილ იქნეს სარძეო სასაქონლო ფერმებისა და განსაზოგადოებული ნახირის მყოლი კოლექტიური მეურნეობებისაგან ა/კსფსრ-ში 5.000 სული ხბო მოზარდობით რვა თვემდე;

ბ) შეძენილ იქნეს თავიანთი პირად განკარგულებაში ძროხების მყოლ კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეებისაგან, შესყიდვის და წინასწარი კონტრაქტაციის წესით, ა/კსფსრ-ში 25.000 ხბო მოზარდობით 8 თვემდე.

3. დამტკიცებულ იქნეს რესპუბლიკებში ხბოების შესყიდვისა და კონტრაქტაციის შემდეგი გეგმა:

რესპუბლიკები	სულ რიცხვი	ა ქ ე დ ა ნ	
		სარძეო სასაქონლო ფერმებისა და კოლმეურ-ბების განსაზ. ნახირის ნამატიდან*)	კოლმეურნეებისა და ინდივიდ. მეურნ. შესყიდვით და კონტრაქტაციით.
აზერბაიჯანის სსრ	11.350	2.200	9.150
სომხეთის სსრ	7.850	1.950	5.900
საქართველოს სსრ	10.800	850	9.950
ა/კსფსრ	30.000	5.000	25.000

4. შესყიდული ხბოების ერთი რესპუბლიკიდან მეორეში რესპუბლიკაში წარგზავნა აიკრძალოს, ხოლო ერთი რაიონიდან მეორე რაიონში წარგზავნა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სანქციით.

---

*) 1933 წელს სარძეო სასაქონლო ფერმებიდან გაცემული ხბოების ანგარიშში მიღებით.

5. ამა დადგენილების საფუძველზე მოსაწყობი სახელმწიფოებრივი დახმარების გაწევა უძროხო კოლმეურნეებისათვის ჩატარებულ იქნეს კოლმეურნეკაცთა და კოლმეურნე-ქალთა მასსების ფართო მონაწილეობით; ამასთანავე, პირველყოვლისა დახმარება უნდა გაეწიოს უკეთეს კოლმეურნე-დამკვრელებს.

6. სარძეო სასაქონლო ფერმებისა და კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნახირის ნამატიდან გამოყოფილი ხბოები უნდა გადაეცეს უწყებული კოლექტიური მეურნეობის წევრებს ანგარიშის ნაღდი გასწორებით ან გადახდის ვადის განაწილებით ერთ წლამდე გამომუშავებული შრომა-დღეების ანგარიშში.

7. ხბოების შეძენის გასაადვილებლად იმ კოლმეურნეებს, რომელთაც არ შეუძლიანთ ნაღდი ფულით გადაიხადონ ხბოების ღირებულება, მიეცეს ფულადი უპროცენტო კრედიტი სახელმწიფოს ხარჯზე საშუალოდ ხბოს ღირებულების 50%-ის ფარგლებში, ამ კრედიტის დაფარვის ვადის განაწილებით ერთ წლამდე.

8. არაშეძლებულ კოლმეურნეებისათვის ხბოების შეძენის საქმეში საკრედიტო დახმარების გასაწევად, ა/კსფსრ ხაზით სახელმწიფო ხარჯზე გამოყოფილი უპროცენტო კრედიტი 900 ათასი მანეთის რაოდენობით და ამ თანხაში შემავალი 100 ათასი მან.—სარძეო სასაქონლო ფერმებისა და კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნახირის ნამატიდან ხბოების შეძენისათვის დახმარების გასაწევად—განაწილებულ იქნეს რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად:

რესპუბლიკები	სარძეო სასქონლო ფერმებისა და კოლექტ. მეურნ. განსაზ. ნახ. ნამატის შესაძენ	კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობებისაგან შესაძენად.	სულ კრედიტი (მანეთ.)
აზერბაიჯანის სსრ	44.000	292.800	336.800
სომხეთის სსრ	39.000	188.800	227.800
საქართველოს სსრ	17.000	318.400	335.400
ა/კსფსრ	100.000	800.000	900.000

9. სახელმწიფოებრივი საკრედიტო დახმარება გაწეულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო ბანკის სარაიონო განყოფილებათა მეშვეობით; ამასთანავე, კრედიტი უნდა მიეცეს თვითეულ კოლმეურნეს ცალკე, მასთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულების თანახმად. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება მიეცეს დაადიფერენცირონ კრედიტის რაოდენობა რაიონებზე.

10. კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთაგან ხბოების შესყიდვა და კონტრაქტაცია უნდა სწარმოებდეს საკონვენციო ფასად.

11. იმ კოლმეურნეთ და ინდივიდუალურ მეურნეთ, რომელნიც ჰყიდიან და ჰკვებავენ რძით ხბოებს კონტრაქტაციის წესით უძროხო კოლმეურნეთათვის მისაყიდად,—მიეცეს ხოლმე შეღავათები სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების სფეროში—წლიურ გეგმაზე 25 პროცენტის მონაკლებით და შეღავათი სახელ-

მწიფოსათვის ხორცის ჩაბარების სფეროში—წლიურ გეგმაზე 20 პროცენტის მონაკლებით.

12. იმ საკოლმეურნეო კომლებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომელთაც ხბოების გაყიდვისა და კონტრაქტაციის მომენტისათვის შესრულებული აქვთ თავიანთი 1933 წლის ვალდებულებანი ხორცის და რძის მიწოდებისა, ამა დადგენილების მე-11 მუხლში აღნიშნული შეღავათები ეძლევათ 1934 წელს ხორცისა და რძის მიწოდების ვალდებულებათა ანგარიშში.

13. მე-11 მუხლში აღნიშნული მიზნით ხბოების კონტრაქტაციის შესახებ დადებული ხელშეკრულება დარეგისტრებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოში.

14. ხბოების შესყიდვისა და კონტრაქტაციის ორგანიზაცია დაეკისროს კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებს და დაევალოს სასოფლო საბჭოებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს—გაუწიონ მათ ამ საქმეში ყოველგვარი დახმარება. თავის კოლექტიურ მეურნეობაში ან უახლოეს კოლექტიურ მეურნეობასა და რაიონში ხბოების ყიდვის დროს—ხბოების არჩევაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღონ ხბოების მყიდველებმა: კოლმეურნე-ქალებმა და კოლმეურნე-კაცებმა.

15. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს—ფურაჟის შრომა-დღეებზე განაწილების დროს, საკვები ფონდების გამოყოფის შემდეგ, უზრუნველჰყონ ხბოებშემძენი კოლმეურნენი საჭირო რაოდენობის საკვებით.

16. დაევალოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტებს—შეადგინონ სამი დღის ვადაზე ხბოების გამოყოფისა, შესყიდვისა და კონტრაქტაციის რაიონობითი გეგმები, რაიონების თავისებურობათა ანგარიშში მიღებით, და ამ ხბოების კოლმეურნეებზე განკუთვნის გეგმები; თანაც თვალყური ადევნონ ამ გეგმების აღსრულებას.

17. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, არა უგვიანეს ნოემბრის 13-სა, შეიმუშაოს და მიაწოდოს რესპუბლიკების დაწვრილებითი ინსტრუქციები ამა დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

სრულიად საკავშირო კომუნისტური
პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო
კომიტეტის მდივანი **მეერზონი.**

1933 წ. ნოემბრის 11.
ტფილისი

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 262 №-ში 1933 წ. ნოემბრის 15-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

181. "ხეტყის დამზადებასა და წყლით ჩამოტივტივებაზე კოლექტიურ მეურნეობებთან და ინდივიდუალურ მეურნე-გლეხებთან ხელშეკრულებათა დადებისათვის" გიმოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის ნოემბრის 19-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

„ხეტყის დამზადებასა და წყლით ჩამოტივტივებაზე კოლექტიურ მეურნეობებთან ხელშეკრულებათა დადების შესახებ" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების წარმატებით რეალიზაციის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში და ამიერკავკასიის სატყეო ტრესტებს—მიაწვდინონ არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 5-სა თვითეულ რაიონამდე 1934 წელს ხეტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და წყლით ჩამოტივტივების გეგმა.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სატყეო-სამრეწველო მეურნეობებთან და სატყეო უბნებთან ერთად, გაანაწილონ სასოფლო საბჭოებსა და კოლექტიურ მეურნეობებზე, არა უგვიანეს ა/წ დეკემბრის 10-სა, ხეტყის დამზადების, გამოზიდვის და წყლით ჩამოტივტივების 1934 წლის გეგმები—ისეთი ვარაუდით, რომ 1934 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში, ე. ი. ზამთარში, კოლექტიური მეურნეობებისათვის უფრო ხელსაყრელ დროს, გამოზიდულ იქნეს არა ნაკლებ წლიური გეგმის 50%-სა.

2. დაევალოს ა/კსფსრ სატყეო ორგანიზაციებს („საქტყეტრესტს", „აფტყეტრესტ"-ს, „აზტყეტრესტს", „სომხტყეტრესტს", ა/კ. რკინის გზების სატყეო განყოფილებას და საქართველოს საკურორტო სამმართველოს) და წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ საოლქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ და დაამთავრონ დეკემბრის 20-დე სატყეო-სამრეწველო მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ორმხრივ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება, რომლებშიაც ზედმიწევნით გათვალისწინებულ უნდა იქნეს კოლექტიური მეურნეობების მუშაობის ადგილები, სორტიმენტები და დამზადებისა, გამოზიდვისა და წყლით ჩამოტივტივების ვადები.

3. დადასტურებულ იქნეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ (ა/კსფსრ-ში) წარმოდგენილი პროექტი ტიპური ხელშეკრულებისა (იხ. დანართი) კოლექტიურ მეურნეობათა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობათა შორის და წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სასწრაფოდ შეიმუშაოს და მიაწოდოს ადგილებს ინსტრუქცია ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

4. წინადადება მიეცეს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ—კომიტეტებს, სასოფლო საბჭოებს და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებს:

ა) განუმარტონ კოლმეურნეთა ფართო მასსებს, რომ სატყეო სამრეწველო მეურნეობებსა და კოლექტიურ მეურნეობებს შორის ხელშეკრულებათა დადებას მიზნად აქვს, შეშა-ხეტყის დამზადების პროგრამის შესრულებასთან ერთად, კოლექტიური მეურნეობების განმტკიცება და გაღონიერება;

ბ) უზრუნველჰყონ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 19 ის დადგენილების წარმატებით განხორციელება და განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიონ ხეტყის დამზადების და ჩამოტივტივების მსვლელობას, გაუწიონ ადგილობრივ ორგანიზაციებს ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება მუშაობაში და ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა და ბრიგადებს შორის.

5. ტყის მუშებისათვის კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის სფეროში პროფმუშაობის განმტკიცების მიზნით—ეთხოვოს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—გადასინჯოს 2 დეკადის ვადაზე, სათანადო რესპუბლიკების პროფესიონალურ კავშირთა საბჭოების მეშვეობით, სარაიონო სატყეო მუშათა კომიტეტებისა და სატყეო პუნქტებისა და ხეტყის ჩამოტივტივების პუნქტების მუშათა კომიტეტების ხელმძღვანელი შედგენილობა და განამტკიცოს ეს შედგენილობა უფრო ძლიერი მომუშავეებით, რისთვისაც მიბილიზებულ ჰყოს ხელმძღვანელ პროფმომუშავეთაგან (საქარხნო კომიტეტები, ადგილობრივი კომიტეტები, სარაიონო პროფკავშირები) ამხანაგთა საჭირო რიცხვი.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილების ფართო ახსნა-განმარტებისა, თვითეულ კოლმეურნემდე და ინდივიდუალურ მეურნემდე მიწვდენისა და სასწრაფოდ განხორციელების მიზნით—დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაიმუშაონ ეს დადგენილება, ა/წ. დეკემბრის 1-დან დეკემბრის 10-დე, სარაიონო თათბირებზე, კოლექტიური მეურნეობებისა, სასოფლო საბჭოებისა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობების წარმომადგენლებთან ერთად;

ბ) დაავალონ რესპუბლიკანურ და რაიონულ პრესსას—ჩაებას სამუდამდღეო ბრძოლაში ტყისთვის, მობილიზებულჰყოს საზოგადოებრივი ყურადღება ხეტყის დამზადებათა გარშემო და ხელი შეუწყოს ხელშეკრულებათა საჩქაროდ დადებას და ზედმიწევნით შესრულებას.

7. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა აღსრულების შემმოწმებელმა კომისიამ უნდა დაამყაროს სისტემატური კონტროლი ამა დადგენილების აღსრულებისათვის და 1934 წ. იანვრის 1-თვის წარმოადგინოს მოხსენება ამა დადგენილების აღსრულების შედეგების შესახებ.

8. წინადადება მიეცეს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში—შეიმუშაოს და წარმოუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად სატყეო-სამრეწველო მეურნეობებისათვის მუშათა მუდმივი კადრების მოგროვების გეგმა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1933 წ. დეკემბრის 3.
ტფილისი.

ტიპური ხელშეკრულება

სატყეო-სამრეწველო მეურნეობასა და კოლექტიურ მეურნეობას შორის ხეტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და წყლით ჩამოტივტივების შესახებ.

1933 წლის ..... „ ..... „. თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ნოემბრის 19-ის დადგენილებისა „კოლექტიურ მეურნეობებთან და ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებთან ხეტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების თაობაზე დასადებ ხელშეკრულებათა შესახებ“ ..... კოლექტიურმა მეურნეობამ, გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ..... სახით და ..... სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ, დირექტორის ამხ. ..... სახით, დასდეს ეს ორმხრივი სამეურნეო ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხეტყის დამზადებისა, გამოზიდვისა და წყლით ჩამოტივტივების გეგმის შესაბამისად კოლექტიური მეურნეობა კისრულობს ვალდებულებას:

	რაოდენობა კუბომეტრობით	სორტიმენტი	ზედმიწევნით აღინიშნოს დამზადების, გამოზიდვის და წყლით ჩამოტივტივების ადგილი	აღსრულების ვადები	
				თ ვ ე	რიცხვი
1) დაამზადოს . .					
2) გამოზიდოს. . .					
3) შემოაკეთოს . .					
4) წყლით ჩამოატივტივოს . . .					
სხვა სახის სამუშაო.					

(დაერთვის სამუშაოთა აღსრულების საკალენდრო ვადები).

2. ამა ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად კოლექტიური მეურნეობა აწყობს სატყეო, უპირატესად სათავგბოლო, ბრიგადებს და გამოჰყოფს:

ა) კოლექტიური მეურნეობის.....შრომაუნარიან წევრს და

ბ) მუშაობაუნარიან.....კამეჩს და .....ხარს, სრულ კომპლექტიან შესაბმელობით, საზიდავებით, ურმებით, მარხილებით და სხვა მისთ.

(დაერთვის გამოყოფილი მუშების სია).

გამოყოფილი მუშები შეიძლება შეცვლილ იქნენ მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

3. საკოლმეურნეო სატყეო ბრიგადების მუშაობასათვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად კოლექტიური მეურნეობა გამოჰყოფს ბრიგადირებს.

ბრიგადირი ასრულებს სატყეო-სამრეწველო მეურნეობის საადმინისტრაციო-სატექნიკო პერსონალის ყველა მითითებას, კერძოდ—დამზადების და გამოზიდვის რიგობისა, საკაფი ადგილების კაფვის რიგობისა და ამა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა რაიონის ფარგლებში მუშა-ძალის გადაგზავნ-გადმოგზავნის შესახებ; პასუხს აგებს კოლექტიური მეურნეობის გამგეობის ან სატყეო-სამრეწველო მეურნეობის წინაშე ტყის დამზადებისა და ტრანსპორტირების ყველა ტექნიკური პირობის მტკიცედ დაცვისათვის და უზრუნველჰვოფს შრომის დისციპლინისა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მიერ დადგენილი შინაგანრიგების წესების სრულ დაცვას.

ბრიგადირი მუშაობს ბრიგადის ყველა წევრის თანაბრად. თვიური პროგრამის ზედმეტად შესრულების შემთხვევაში სატყეო-სამრეწველო მეურნეობა აძლევს ბრიგადირს პრემიას მთელი ბრიგადის ფაქტიური სამუშაო საშოვრის 2%-ის რაოდენობით.

(ხელშეკრულებას დაერთვის საკოლმეურნეო ბრიგადირების სია)

4. სატყეო-სამრეწველო მეურნეობა ვალდებულჰყოფს სატყეო პუნქტს აწარმოოს შესრულებული სამუშაოების თვისებითი და რაოდენობითი მიღება არა ნაკლებ, ვიდრე.....ჯერ.....

5. ანგარიშის გასწორება სამუშაოებისათვის:

1-ლი ვარიანტი. სატყეო-სამრეწველო მეურნეობა მოვალეა გაიღოს სასყიდელი შესრულებული სამუშაოებისათვის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ტერიტორიაზე მომქმედი ნორმების მიხედვით შემდეგ ვადაზე:.....

ანგარიში გასწორებულ უნდა იქნეს უშუალოდ სამუშაოზე მოსაქმე კოლმეურნეებთან; ამასთანავე, კოლმეურნეების მთელი ფულადი სასყიდელი (კამეჩების მუშაობის სასყიდლის თანჩართვით) შედის კოლმეურნეების განკარგულებაში, 20%-ის გარდა, რასაც სატყეო-სამრეწველო მეურნეობა გადარიცხავს კოლექტიური მეურნეობის განკარგულებაში შესაბმელობისა, საზიდავებისა, მარხილებისა და სხვ. მისთ რემონტისათვის და კამეჩების კვებისათვის.

მე 2 ვარიანტი. თანახმად კოლექტიური მეურნეობის საერთო კრების .....„.....„ დადგენილებისა კოლმეურნეების სასყიდლის შრომა-დღეებით გადახდის შესახებ კოლექტიური მეურნეობის ხარჯზე, სასყიდელს შესრულებული სამუშაოებისათვის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა უხდის უშუალოდ კოლექტიური მეურნეობის გამგეობას, რომლის განკარგულებაშიაც შედის კოლმეურნეების მთელი სამუშაო სასყიდელი (ნატურალურის ჩართვით). სა-

ტყეო-სამრეწველო მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობის გამგეობასთან ერთად, აწესებს შრომა-დღის გამომუშავების ზედმიწევნითს ნორმას.

დადგენილი გამომუშავების ნორმის კოლმეურნეთა მიერ ზედმეტად შესრულების შემთხვევაში ზედმეტად შესრულებული სამუშაოს სასყიდელი შედის მთლად კოლმეურნეების განკარგულებაში.

(როდესაც კოლმეურნეებს სასყიდელი ტყეში მუშაობისათვის უნდა გადაეხადოთ შრომა-დღეებით კოლექტიური მეურნეობის ხარჯზე, შრომა-დღის გამომუშავების ნორმა არ უნდა იყოს იმ ნორმაზე ნაკლები, რაც მოქმედობს სატყეო პუნქტის ტერიტორიაზე).

6. სატყეო-სამრეწველო მეურნეობა მოვალეა აძლიოს სურსათი მომუშავე კოლმეურნეებს და აგრეთვ ფურაჟი კოლექტიურ მეურნეობას თანახმად სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ განსაზღვრული ნორმებისა შრომა-დღეზე და ცხენ-დღეზე—კამეჩ-დღეზე, ანგარიშის ნაღდი გასწორებით ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის შესაბამისად და შემდეგ ვადაზე .....

კოლმეურნეობა მოვალეა სატყეო-სამრეწველო მეურნეობისაგან მიღებული ფურაჟი ხრჯოს მარტოოდენ ხეტყის გამოტანაზე მომუშავე კამეჩებსა და ცხენებზე.

7. სატყეო-სამრეწველო მეურნეობა მოვალეა მიუჩინოს კოლმეურნეებს სამუშაო ადგილას საცხოვრებელი; იგი მოაწყობს ტყეში საზოგადოებრივ კვებას ამა ხელშეკრულებით კოლმეურნეობისათვის მისაცემი სურსათის ნორმების ანგარიშში (მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება დაწესებულ იქნეს, განსაზღვრულ ნორმებზე ზედმეტად, საზოგადოებრივ კვებაზე მოსახმარი პროდუქტების რაოდენობა სატყეო-სამრეწველო მეურნეობისა და კოლექტიური მეურნეობის თვითდამზადებათა ხარჯზე).

8. კოლმეურნეობის უფრო მეტი ეკონომიური დაინტერესებისათვის, სატყეო-სამრეწველო მეურნეობა კისრულობს, უკეთუ კოლექტიური მეურნეობა 100%-ით შეასრულებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრებ ვალდებულებებს, განახორციელოს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) გამოჰყოს კოლექტიური მეურნეობისათვის სახელმწიფო ფონდის ტყეებში სათიბი და სახნავი სანახები ..... რაოდენობით;

ბ) მისცეს კოლექტიურ მეურნეობას საშენი მასალა და სათბობი მერქანი ..... რაოდენობით და შემდეგ ფასად: .....

გ) გაუწიოს დახმარება კოლექტიურ მეურნეობაში საბავშვო ბაგებისა და საბავშვო ბაქნების მოწყობის საქმეს;

დ) გაგზავნოს თავისი ხარჯით კოლექტიურ მეურნეობაში ანგარიშის შედგენისა და მოსავლის შრომა-დღეებზე განაწილების პერიოდის განმავლობაში დასახმარად მოანგარიშე-მომუშავენი ..... კაცი ..... ვადით

ე) გამოჰყოს კოლექტიური მეურნეობისათვის ტყეში მომუშავეების დაპრემიებისათვის სამრეწველო საქონელი ..... თანხისა ..... ასორტიმენტისა და ..... ფასად;

ვ) გაუწიოს დახმარება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტით სატყეო სამრეწველო მეურნეობის სახელოსნოებში და ათხოოს კოლექტიურ მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობას თავისი თავისუფალი სატყეო მეურნეობის ინვენტარი, ტრაქტორები და სხვა მისთ. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ..... ვადით.

(მე-8 მუხლებში ჩამოთვლილ ვალდებულებებს სატყეო-სამრეწველო მეურნეობა მიიღებს თავის თავზე, კოლექტიურ მეურნეობასთან შეპირებით, მთლად ან ნაწილობრივ, იმის მიხედვით, თუ რა ფაქტიური შესაძლებლობა აქვს მას, სატყეო-სამრეწველო მეურნეობას).

9. სატყეო-სამრეწველო მეურნეობა მოვალეა მოაწყოს ცხენებისა და კამეჩების დაჭედვა თავისი მასალით კოლექტიური მეურნეობის ხარჯზე თვითღირებულების მიხედვით და უზრუნველჰყოს თავის ხარჯზე საჭირო ვეტმომსახურეობა.

10. კოლექტიური მეურნეობა მოვალეა გაუფრთხილდეს სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ყოველ ქონებას და შეუფარდოს კოლექტიური მეურნეობის იმ წევრებს, ვინც დამნაშავე იქნება სახელმწიფო ქონების დაუდევრად შენახვასა და და მოპყრობაში, სასტიკი გადასახდელი, ხოლო ის პირი, ვინც ბოროტულად მოექცევა სატყეო-სამრეწველო მეურნეობის ქონებას, მისცეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით თანახმად 1932 წ. აგვისტოს 7-ის კანონისა სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ.

11. ხელშეკრულების მთლად ან ნაწილობრივ დარღვევისათვის დამნაშავე მხარე მატერიალურ პასუხს აგებს შემდეგი წესით:

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამნაშავე მხარე იხდის პირველი 15 გადაცილებული დღისთვის საურავს 0,05% რაოდენობით დღეში, ხოლო 15 დღის გასვლის შემდეგ—პირგაუტეხელობის ჯარიმას ვადაზე შეუსრულებელი ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების 3%-ის რაოდენობით.

საურავისა და პირგაუტეხლობის ჯარიმის გარდა დამნაშავე მხარე იხდის ყველა პირდაპირ ზარალს, რაც მიყენებელია ამა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო—ისეთი რაოდენობით, რასაც საურავი და პირგაუტეხლობის ჯარიმა არ დაფარავს.

12. ყველა დავა ამ ხელშეკრულების გამო გადაწყდება საერთო სასამართლო წესით.

13. ეს ხელშეკრულება შედგენილია ..... ცალად; იგი რეგისტრდება სასოფლო საბჭოში და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

კოლექტიური მეურნეობის გამგეობა.
სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

182. სახალხო საშეურნეო აღრიცხვის დაყენების საქმის გაუმჯობესებისა და აღრიცხვის ორგანოების განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ა/კსფსრ-ში აღრიცხვის ორგანოების გარდაქმნა სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად, რაც იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათანადოდ არ აფასებენ აღრიცხვის მნიშვნელობას.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ქვედა საფეხურის აღრიცხვა.

1. ქვედა საფეხურის აღრიცხვის მოწესრიგებისა და სასოფლო საბჭოების აღრიცხვისა და ანგარიშგების გარდაქმნის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა 1934 წლის იანვრის 1-დან ა/კსფსრ ყველა სასოფლო საბჭოში შემოღებულ იქნეს სასოფლო საბჭოს მეაღრიცხვეთა თანამდებობა და ამის შესახებ აღიძრას საკითხი საკავშირო ორგანოებში.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს საჭირო სახსარით სასოფლო საბჭოების მეაღრიცხვეთა შენახვა 1934 წელს.

რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა განახორციელონ ერთი თვის ვადაზე ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს ხასოფლო საბჭოების მეაღრიცხვეთა საჭირო კადრების მომზადებას.

2. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა ორ ვადაზე (1934 წლის აპრილის 1-სა და ოქტომბრის 1-თვის) უნდა მოაწყონ და უზრუნველჰყონ სახსარით რაიონებში 3-თვიანი კურსები პირველადი აღრიცხვის მომუშავეთა მოსამზადებლად კოლექტიური მეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის:

ა) აზერბაიჯანის სსრ-ში	1.200	კაცი
ბ) სომხეთის სსრ-ში	800	„
გ) საქართველოს სსრ-ში	1.000	„
ს უ ლ	3.000	კაცი.

3. 1933 წლის დეკემბრის 15-დან 1934 წ. იანვრის 15-დე ჩატარებულ იქნეს ქვედა საფეხურის აღრიცხვის მდგომარეობის დათვალიერება სოფლის მეურნეობაში, მრეწველობის სფეროში ჩატარებული დათვალიერების ანალოგიურად; ეს დათვალიერება შეთავსებულ უნდა იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საადგილმამულო გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილებების სააღრიცხვო დარგის მომუშავეთა საზოგადოებრივ შემოწმებასთან, უცხო ელემენტების ჩამოშორებით.

დათვალიერების ჩატარების მოწყობა დაეკისროს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს (ამხ. პეჩერსკის), ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. ბუნიათ-ზადეს), საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამხ. ოთიანს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პოლიტსექტორს (ამხ. მირონოვს), ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს (ამხ. კუზნეცოვს) და „ზარია ვოსტოკას" (ამხ. ვ. გრიგორიანს).

4. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა მოაწყონ ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ ქალაქების დიდ საწარმოთა და დაწესებულებათა შეფობა კოლექტიური მეურნეობებისადმი მათში აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესებისა და განმტკიცების ხაზით.

5. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა (ამხ. მამიკონიანმა) და ა/კსფსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა (ამხ. კვანტალიანმა) უნდა განახორციელონ ერთი თვის ვადაზე სათანადო ღონისძიებანი საწარმოებში აღრიცხვის მოსაწესრიგებლად მრეწველობის ხაზით ჩატარებული დათვალიერების საფუძველზე.

6. გოგჩის, ალი-ბაირამლის, ოზურგეთის, გურჯაანის და სტეფანავანის საარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებთან ერთად, უშუალო მონაწილეობა ამ რაიონების გამოკვლევათა ჩატარებაში იმის გამოსარკვევად, თუ რა მდგომარეობაშია კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცების საქმე და კოლმეურნეების ბიუჯეტები.

7. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა 1934 წლიდან ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოებში მოეწყოს ქვედა საფეხურის აღრიცხვის ჯგუფები.

II. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის საარაიონო ინსპექტორები.

1. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა:

ა) ერთი თვის ვადაზე უნდა გადასინჯონ და განამტკიცონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის საარაიონო ინსპექტორების შედგენილობა—სხვა ორგანიზაციებიდან ამ სამუშაოზე კვალიფიციური მომუშავეების წარგზავნით;

ბ) წარგზავნონ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სისტემაში 1933 წლის შემოდგომაზე უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიური განყოფილების კურსდამთავრებულთა არა ნაკლებ 30%-სა და არა ნაკლებ იმ პირთა 30%-სა, რომელნიც გაათავებენ ამ განყოფილებას 1934 წლის გაზაფხულზე და შემოდგომაზე—სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის საარაიონო ინსპექტორებად მიმაგრებისათვის.

2. ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველომ (ამხ. პეჩერსკის), საარაიონო ინსპექტორების მუშაობის თვისების ასამაღლებლად, უნდა მოაწყოს მათ დასახმარად საარაიონთაშორისო ინსპექტურა.

3. აეკრძალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს აღრიცხვის მომუშავეთა მობილიზაცია და აგრეთვე სხვა სამუშაოებზე წარგზავნა რესპუბლიკანური სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოების უცნობლად და დაუთანხმებლად.

4. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარმა ამხ. მამიკონიანმა, ამხ. პეჩერსკისთან ერთად, 2 დეკადის ვადაზე უნდა განახორციელოს ღონისძიებანი სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო ინსპექტორების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

5. დაევალოს ა/კსფსრ საკონტროლო და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს—საალრიცხვო დისციპლინის ბოროტულად დამრღვევთა საქმეები ჩაატარონ საჩქარებელი წესით.

III. სოფლის მეურნეობის აღრიცხვის სექტორების ხელმძღვანელობა.

1. რესპუბლიკანური სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს სასოფლო მეურნეობის აღრიცხვის სექტორებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსის ერთ ერთ მოადგილეს, ხოლო უწყებათა ხაზით (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები და საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი რესპუბლიკებში)—სახალხო კომისრის და რწმუნებულის ერთ-ერთ მოადგილეს.

IV. არამარცვლეული კულტურების ფართობებისა და მოსავლიანობის განსაზღვრის შესახებ.

1. მოწყობილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებული კომისიები ტექნიკური, ხილ-ბოსტნეული და საქონლის საკვები კულტურების ნათესი ფართობებისა, მოსავლიანობისა და ასაღები საერთო მოსავლის განსაზღვრისათვის, შემდეგი შედგენილობით: დამზადებათა კომიტეტის რწმუნებული სკს-თან, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარი და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პოლიტსექტორის უფროსი; დაეკისროს ა/კსფსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს რაიონებიდან, რესპუბლიკებიდან და სათანადო სახალხო კომისარიატებიდან მიღებული მასალების შემოწმება და კონტროლი.

2. რაიონებში სათანადო კომისიები მოწყობილ იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების თავმჯდომარეობით და სარაიონო სა-

ადგილმამულო განყოფილებების გამგეებისა, დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებისა, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტორებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებების უფროსების შედგენილობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1933 წ. დეკემბრის 3.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 283 №-ში 1933 წ. დეკემბრის 10-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

182. 1934 წელს ამიერკავკასიის რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

სარკინისგზო ტრანსპორტის დაუცადებელი მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო და იმ მიზნით, რათა ა/კ. რკინის გზები უზრუნველყოფილ იქნეს მუშა-ძალით თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლისათვის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, შრომისა და თავდაცვის საბჭოს ა/წ. ნოემბრის 26-ის დადგენილების შესაბამისად, ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაავალონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, კოლექტიურ მეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, დაბებისა და ქალაქის საბჭოებს—გაუწიონ დახმარება რკინის გზებს, უპირატესად სხვა ორგანიზაციებთან შედარებით, მუშა-ძალისა და ჭაპანზიდვის-ძალის მოგროვების საქმეში თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლისათვის;

ბ) უკეთუ თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლის მთლად უზრუნველყოფა შეუძლებელია მუშა-ძალისა და ჭაპანზიდვის-ძალის მოგროვების წესით, დაავალონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, ა/კ. რკ. გზის უფროსისა და სასამსახუროებისა და დისტანციების უფროსების მოთხოვნისამებრ, გაიწვიონ მოსახლეობა შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარაზე შრომის კანონთა კოდექსის მე 11—14 მუხლებით დადგენილ საფუძველზე;

გ) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო საბჭოებს და საქალაქო საბჭოებს—მიუჩინონ თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლისათვის გაწვეულ მუშა-ძალას სადგომები და აგრეთვე ადგილები საზიდავების მოსათავსებლად;

დ) დაავალონ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სასოფლო საბჭოებს- და კოლექტიურ მეურნეობათა გამგეობებს—გამოჰყონ პასუხისმგებელი პირნი მუშა-ძალის მომგროვებელთა დასახმარად და ხელშეკრულებებით შეპირებულ კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა თოვლთან ბრძოლაზე თავის დროზე გამოსვლის უზრუნველსაყოფად.

2. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების სამმართველოს და ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ეთხოვოს ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს—დაავალონ ადგილობრივ ორგანოებს, საკოლმეურნეო სისტემას და სარაიონო მომგროვებელ აპარატს—გაშალონ მასსური ახსნა-განმარტებითი მუშაობა მუშა-ძალის მოგროვებისათვის და ა/კ. რკინის გზებზე იმ კოლმეურნეთა მიმაგრებისათვის, რომლებთანაც უკვე დადებულია ხელშეკრულებანი.

3. წინადადება მიეცეს ა/კ. რკინის გზების სამმართველოს და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—იხმარონ ღონისძიებანი, რათა თავის დროზე მიღებულ იქნეს ის სასურსათო ფონდები, მარცვლეული ფურაჟი, თივა და სამრეწველო საქონელი, რაც შრომისა და თავდაცვის საბჭოს ა/წ. ნოემბრის 26-ის დადგენილებით გამოყოფილია გზათა სახალხო კომისარიატის მუშათა მომარაგების მთავარი განყოფილების განკარგულებაში თოვლთან ბრძოლისათვის სამუშაოდ გაწვეული მუშების მოსამარაგებლად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი.**

1933 წ. დეკემბრის 7.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

184. „1934 წელს ამიერკავკასიის რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების ჯულფა-ბაქოს და შავი ზღვის რკინის გზებზე გავრცელების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„1934 წელს ამიერკავკასიის რკინის გზებზე თოვლის ნამქერებთან და გაზაფხულის წყალმატებასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის დეკემბრის 7 დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს ჯულფა-ბაქოს და შავი ზღვის რკინის გზებზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე გ. მუსაბეკოვი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ბუკრეევი.

1933 წ. დეკემბრის 13.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

185. ა/კსფსრ მოძარაგების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მუშაობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკანური სავაჭრო ორგანოების („ტორგების") მუშაობის ხელმძღვანელობის განმტკიცებისა და გაძლიერებისა და მათი სავაჭრო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივნისის 10-ის დადგენილების დასამატებლად (ა/კსფსრ კან. კრ. 1932 წ. მე-16 №-ი, მუხ. 121), დაეკისროს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს:

ა) რესპუბლიკანური სავაჭრო ორგანოების მთელი სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვა, რეგულირება და კონტროლი;

ბ) რესპუბლიკანური სავაჭრო ორგანოების ორგანიზაციული აგებულების განხილვა და დამტკიცება;

გ) რესპუბლიკანური სავაჭრო ორგანოების ცალობითი ვაჭრობის ქსელის მოწყობის და, საქონელბრუნვის ცალკეული სახეების მიხედვით, სპეციალიზაციის საკითხების შემუშავება და დამტკიცება;

დ) სათანადო საგეგმო-მრეგულირებელ ორგანოებში მონაწილეობის მიღება რესპუბლიკანური სავაჭრო ორგანოების საკითხების გამო; წარმომადგენლობის გაწევა სახელმწიფო მრეწველობის წინაშე სასაქონლო ფონდების თვისების, ასორტიმენტის და სისრულის გაუმჯობესებისა და თავის დროზე სავაჭრო ორგანოებისათვის ჩაბარების საკითხების გამო, აგრეთვე მეთვალყურეობის გაწევა, რათა სავაჭრო ორგანოებმა წარუდგინონ მრეწველობას წინასწარი შეკვეთები და განაცხადები, და ამ შეკვეთების და განაცხადების აღსრულების აღრიცხვა;

ე) სავაჭრო ორგანოების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა საქონლის ნაშთების შემცირების და ჩამორთმევისა, ამ ნაშთების გარდაფასებისა და საადმინისტრაციო-სამმართველო და ბრუნვის ხარჯების შემცირების სფეროში.

2. დეცენტრალიზებული ბრუნვისა და გეგმაგარეშე შესყიდვების მოწყობის ხაზით სისტემის მუშაობის გაფართოებასთან დაკავშირებით დაეკისროს სახელმწიფო ვაჭრობის ამიერკავკასიის სამმართველოს—მოაწყოს წარმომადგენლობანი, მოსკოვისა, ლენინგრადისა და ბაქოს გარდა, აგრეთვე ხარკოვსა, როსტოვსა და ოდესაში, რისთვისაც აღიძრას, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით, სათანადო შუამდგომლობა სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე.

3. დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—მიაწოდოს, დაწყებული 1934 წლის I კვარტალიდან, სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდები კუთვნილებისამებრ, დაჰყოს-რა ეს ფონდები არა მარტო რესპუბლიკებზე, არამედ აგრეთვე ძირითად საქონელგამტარებელ სისტემებზე (მუშათა მომარაგების განყოფილებანი, სამომხმარებლო კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობა).

4. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას—განიხილოს და დაამტკიცოს ერთი დეკადის ვადაზე სახელმწიფო ვაჭრობის ამიერკავკასიის სამმართველოს და მის წარმომადგენლობათა სტრუქტურა და შტატი, ხოლო ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა გადასინჯოს და დაამტკიცოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დებულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ილიუშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. ბუკრეევი**

1933 წ. დეკემბრის 21.
ტფილისი.

საქ. სახკომსაბჭოს სტამბა

მთავლ. რწმ. ა—№ 49. დაკვ. № 839. ტირაჟი 800 ც.

ЗАКГИЗ